



ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის საკრებულო

2010 წლის 26 ნოემბერი

ქ. ლაგოდეხი

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა

№ 4 3

ბუნებრივი და ტექნოგენური ხასიათის საგანგებო სიტუაციებზე ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის რეაგირების გეგმის დამტკიცების შესახებ

„ბუნებრივი და ტექნოგენური ხასიათის საგანგებო სიტუაციებისაგან მოსახლეობისა და ტერიტორიის დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის მე-4 პუნქტის და მე-12 მუხლის შესაბამისად, ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულებით:

1. დამტკიცდეს ბუნებრივი და ტექნოგენური ხასიათის საგანგებო სიტუაციებზე ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის რეაგირების თანდართული გეგმა.
2. ბუნებრივი და ტექნოგენური ხასიათის საგანგებო სიტუაციებზე ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის რეაგირების შტაბის უფროსად დაინიშნოს მუნიციპალიტეტის გამგებელი დიმიტრი ლოლაძე. მასვე დაევალოს შტაბის შემადგენლობის განსაზღვრა.
3. განკარგულება ძალაშია გამოქვეყნებისთანავე.
4. განკარგულების გასაჩივრება შესაძლებელია ერთი თვის ვადაში, კანონმდებლობით დადგენილი წესით, ლაგოდეხის რაიონულ სასამართლოში, მისამართი 26 მაისის ქ. №19.

საკრებულოს თავმჯდომარე:

/გიორგი გოზალიშვილი /

ს ა რ ჩ ე ვ ი

1. ბრძანებები: - №1104 2010 წლის 27 სექტემბერი - ბუნებრივი და ტექნოგენური ხასიათის საგანგებო სიტუაციებზე რეაგირების ლაგოდების მუნიციპალიტეტის შტაბის შექმნის ჟურნალის შექმნის და დამტკიცების შესახებ
- №1105 2010 წლის 27 სექტემბერი - საგანგებო სიტუაციებზე რეაგირების საველე საევაკუაციო შტაბის შექმნის შესახებ
2. დანართები: - №1 „ლაგოდების მუნიციპალიტეტის საგანგებო შტაბის შეტყობინების სქემა“
 - №2 „სასოფლო თემებში საინვესტიციო ჯგუფების სიობრივი მონაცემებით“
 - №3 „საველე საევაკუაციო შტაბის შეტყობინების სქემა“
 - №4 „სასწავლო სამედიცინო სამსახური 03“ რესურსები
 - №5 „ლაგოდების ჯანდაცვის სამსახურის“ რესურსი
 - №6 „ლაგოდების მუნიციპალიტეტის ტრანსპორტის რაოდენობა“
 - №7 „შ.პ.ს. ლაგოდების სამმართველოს“ რესურსი
 - №8 „სახანძრო-სამაშველო სამსახურის“ რესურსი
 - №9 „წყალმომარაგების ლაგოდების სერვის ცენტრის“ რესურსი
 - №10 „შ.პ.ს. კეთილმოწყობის“ რესურსი
 - №11 „შ.პ.ს. ლაგოდებიავტოგზის“ რესურსი
 - №12 ლაგოდების სატყეო უბანის რესურსი
 - №13 „ლაგოდების მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სკოლების რაოდენობა და რიცხოვნობა“
 - №14 „ს.ს. ლაგოდებგაზის“ რესურსი
 - №15 „საგანგებო სიტუაციების დროს შესაძლო თავშესაფრების ნუსხა“
 - №16 „სამხედრო აღრიცხვისა და გაწვევის სამსახურის“ რესურსი
 - №17 „ს.ს. სილქნეტის“ /კავშირგაბმულობის/ რესურსი
 - №18 სს „კახეთის ენერგოდისტრიბუციის“ ლაგოდების მომსახურების ცენტრი
 - №19 ლაგოდების მუნიციპალიტეტის განსაკუთრებული ობიექტების ნუსხა
 - №20 ლაგოდების მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული ხიდების და ბოგირების ნუსხა
3. მემორანდუმები: - №1.1., №1.2, №1.3, №1.4, - მაღაზიასათან
- №2.1, №2.2, №2.3, №2.4 - პურის საცხოვრებელთან
- №3.1, №3.2, №3.3, №3.4 - ავტოგასამართ სადგურებთან
4. მომართვები: - შ.პ.ს. „ლაგოდების სსდ სამსახურის 03“-ის
- სურსათის უვნებლობის, ვეტერინარიისა და მცენარეთა დაცვა

ჯანდაცვა

- ა.ი.პ. ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის საზოგადოებრივი
- წყალმომარაგების კომპანია ლაგოდეხის სერვის ცენტრი
- სახანძრო-სამაშველო სამსახური
- შესაძლო გამოსაყენებელი თავშესაფრები
- ს.ს. ავტოსატრანსპორტო საწარმო „ლაგოდეხი“
- სამხედრო აღრიცხვისა და გაწვევის სამსახური
- ლაგოდეხის სატყეო უბანი
- შ.ს.ს. ლაგოდეხის რაიონული სამმართველო
- შ.პ.ს. „ლაგოდეხის რაიონის ჯანდაცვა“
- შ.პ.ს. „კეთილმოწყობა“
- ს.ს. „სილქნეტი“
- ინფორმაცია სკოლების შესახებ
- შ.პ.ს. „ლაგოდეხიავტოგზა“ საჭირო მექანიზმები

5. სასოფლო თემები:
- მაწიმი
 - შრომა
 - ნინიგორი
 - ცოდნისკარი
 - ვარდისუბანი
 - კართუბანი
 - ჭიაური
 - ბაისუბანი
 - კაბალი
 - ფონა
 - გიორგეთი
 - აფენი
 - არეშფერანი
 - ლელიანი
 - ქალაქი

„შეთანხმებულია“

კახეთში სახელმწიფო რწმუნებულის
გუბერნატორის ადმინისტრაციის საგანგებო
სიტუაციების მართვის სამსახურის
უფროსი: კახა შენგელიძე

„-----“ 2010 წ.

„ვამტკიცებ“

ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე:

გიორგი გოზალიშვილი

„-----“ 2010 წ.

ბუნებრივი და ტექნოგენური ხასიათის
საგანგებო სიტუაციებზე ლაგოდეხის
მუნიციპალიტეტის რეაგირების
გეგმა

ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის საგანგებო სიტუაციებზე რეაგირების გეგმა

1. გეგმის დანიშნულება და მიზანი:

1.1. ბუნებრივ და ტექნოგენური ხასიათის საგანგებო სიტუაციებისაგან მოსახლეობისა და ტერიტორიის დაცვა, საგანგებო სიტუაციების თავიდან აცილებისა და სიტუაციით გამოწვეული შედეგების ლიკვიდაციის ღონისძიებების, სახანძრო-სამაშველო, სამიებო-სამაშველო, საავარიო-სამაშველო და სავარიო-აღდგენითი სამუშაოების ორგანიზება და სასიცოცხლო უზრუნველყოფა, ცხოველების, მცენარეების, სურსათის, წყალსაცავებისა და წყალმომარაგების სისტემების დაცვა რადიოაქტიური, ქიმიური და ბაქტერიოლოგიური დაბინძურებისაგან /დასნებოვნებისაგან/, მასიური მოწამვლებისა და დაავადებათა კონტროლი, ხანძრების ქრობის ორგანიზებისა და ასევე სამრეწველო და სოციალური დანიშნულების ობიექტების სტაბილური ფუნქციონირების უზრუნველყოფა.

1.2. საკანონმდებლო ბაზა:

- 1.2.1. - საქართველოს კანონი „ბუნებრივი და ტექნოგენურ ხასიათის საგანგებო სიტუაციებისაგან მოსახლეობისა და ტერიტორიის დაცვის შესახებ“ 2007 წლის 8 ივნისი.
- 1.2.2. - საქართველოს პრეზიდენტის 2008 წლის 29 აგვისტოს №415 ბრძანებულება „ბუნებრივი და ტექნოგენური ხასიათის საგანგებო სიტუაციებზე ეროვნული რეაგირების გეგმის დამტკიცების შესახებ“
- 1.2.3. - საქართველოს პრეზიდენტის 2007 წლის 24 სექტემბრის №542 ბრძანებულება „საქართველოს საფრთხეების შეფასების 2007-2009 წ.წ. დოკუმენტის დამტკიცების შესახებ“

1.3. მუნიციპალიტეტის მოკლე დახასიათება

ლაგოდეხის მუნიციპალიტეტი მდებარეობს საქართველოს აღმოსავლეთის ჩრდილო ნაწილში, რომელსაც აღმოსავლეთიდან ესაზღვრება აზერბაიჯანის რესპუბლიკა, სამხრეთით დედოფლისწყაროსა და სიღნაღის, დასავლეთით გურჯაანისა და ყვარლის მუნიციპალიტეტები, ხოლო ჩრდილოეთით რუსეთის ფედერაციული რესპუბლიკა.

ლაგოდეხის მუნიციპალიტეტი:

- ფართობი 890 კვ.კმ.
- სასოფლო-სამეურნეო სავარგული 38960 ჰა-ს
- საძოვარი 11179 ჰა
- მოსახლეობა 51691 ადამიანს
- დასახლებული პუნქტი 68 (მ.შ. 1 ქალაქი)
- ტყეები 17823 ჰა
- სახელმწიფო ნაკრძალი - 24258 ჰა

1.4. რისკების შეფასება

ლაგოდეხის მუნიციპალიტეტში ჩამოთვლილი 12 რისკიდან /რუკები თან ერთვის/ ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის ძირითადი რისკების ფაქტორია მიწისძვრა 15%, ღვარცოფი 13%, ელ.ჭექი 12%, წყალდიდობა 11 %, სეტყვა 11 %. /რუკები და დიაგრამები თან ერთვის/.

- ძლიერმა წვიმებმა, თოვლის დნობამ შეიძლება გამოიწვიოს ზვავების, მეწყერების, ღვარცოფების, წყალდიდობების /მდინარეების კალაპოტიდან ამოსვლა/ შედეგად მოსახლეობის კერძო სექტორის, სასოფლო-სამეურნეო სავარგულების დატბორვა, მცენარეთა და ცხოველთა განადგურება, გზებისა და კომუნიკაციების მოშლა, კომუნიკაციების, ინფრასტრუქტურული ობიექტების მწყობრიდან გამოსვლა. ხანძრის შემთხვევაში მოსალოდნელი სალიკვიდაციო ღონისძიებების გატარება.


- ჭიაურის ტყეში ძლიერი წვიმების დროს მოსალოდნელია წყალდიდობები, ტერიტორიის დატბორვა 1500 ჰა-ზე.

- ლაგოდეხის მუნიციპალიტეტში შვიდივე მდინარე: მდინარე მაწიმის ხევი, ლაგოდეხის ხევი, შრომის ხევი, წმინდა ნინოს ხევი, ბაისუბნის ხევი, კაბალი, არეშის ხევი ღვარცოფულია, ძლიერი წვიმების დროს მოსალოდნელია ამ მდინარეების კალაპოტიდან ამოსვლა, რის შედეგადაც შეიძლება ზიანი მიაყენოს კერძო და საზოგადოებრივ სექტორს.
- სახელმწიფო ნაკრძალი 24258 ჰა-ზეა გაშენებული, შესაძლო ხანძრის შემთხვევაში რისკები იზრდება, რადგანაც არ არსებობს მისასვლელი გზები და ექნიკის მიყვანა ადგილზე შეუძლებელია.
- ლაგოდეხის მუნიციპალიტეტში მოქმედებს 12 ბენზინგასამართი და 1 გაზგასამართი სადგური.
- ლაგოდეხის მუნიციპალიტეტში მოქმედებს მცირე „კაბალჰესი“, რომელიც ჩართულია ერთიან სისტემაში.
- მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ს/ს „კახეთის ენერგოდისტრიბუციას“ ერიცხება:
 1. ძალოვანი ტრანსფორმატორი 101 ერთეული
 2. მაღალი ძაბვის 10 კვ საყრდენი 2019 ერთეული
 3. მაღალი ძაბვის 10 კვ ელექტრო გადამცემი ხაზი სიგრძით 192 კმ
 4. დაბალი ძაბვის 0,4 კვ საყრდენი 6711 ერთეული
 5. დაბალი ძაბვის 0,4 კვ გადამცემი ხაზი სიგრძით 176 კმ.

პირობითი აღნიშვნები


მიწისძვრა	- Earthquake	EQ
მეწყერი	- Landslide	LL
ზვავი	- Avalanche	AV
წყალდიდობა	- Flashflood	FF
ღვარცოფი	- Debris flow	DF
გვალვა	- Drought	DR
ელჭექი	- Lightning	LG
გრიგალი	- Hurricane	HR
სეტყვა	- Hail	HL
ლიპყინული	- Ice	IC
წყაინვა	- Frost	FR
ნისლი	- Mist	MS

ცალკეული ბუნებრივი კატასტროფის წვლილი მრავლობით რისკში The Contribution of Separate Natural Disaster to Multiple Risk




ბუნებრივი კატასტროფების საშიშროების რუკები
Natural Disasters Hazard Maps

მიწისძვრა
Earthquake



ბუნებრივი კატასტროფების საშიშროების რუკები
Natural Disasters Hazard Maps

მეწყერი
Landslide



ბუნებრივი კატასტროფების საშიშროების რუკები
Natural Disasters Hazard Maps

16


ზვავი
Avalanche



ბუნებრივი კატასტროფების საშიშროების რუკები
Natural Disasters Hazard Maps

17


წყალდიდობა
Flashflood



ბუნებრივი კატასტროფების საშიშროების რუკები
 Natural Disasters Hazard Maps


18

ღვარცოფი
 Debris flow




ბუნებრივი კატასტროფების საშიშროების რუკები
 Natural Disasters Hazard Maps

გვალვა
 Drought




ბუნებრივი კატასტროფების საშიშროების რუკები
Natural Disasters Hazard Maps

ელჭექი
Lightning




ბუნებრივი კატასტროფების საშიშროების რუკები
Natural Disasters Hazard Maps

გრიგალი
Hurricane




ბუნებრივი კატასტროფების საშიშროების რუკები და განმეორებადობის მრუდები
Natural Disasters Hazard Maps and Frequency Curves

სეტყვა
Hail




ბუნებრივი კატასტროფების საშიშროების რუკები
Natural Disasters Hazard Maps

ლოპყინული
Ice




ბუნებრივი კატასტროფების საშიშროების რუკები
Natural Disasters Hazard Maps

წყინვა
Frost




ბუნებრივი კატასტროფების საშიშროების რუკები
Natural Disasters Hazard Maps


წისლი
Mist



ტექნოსფეროს დაზიანებადობა Technosphere Vulnerability



საქართველოს ადმინისტრაციული რაიონების ბუნებრივი კატასტროფების მრავლობითი რისკის ინდექსი



Natural Disasters Multiple Risk Index of Georgian Administrative Areas

2. გეგმის ძირითადი ნაწილი

ფუნქციები:

- 2.1.1. საგანგებო მართვის უზრუნველყოფა;
- 2.1.2. კავშირგაბმულობის შეტყობინების ღონისძიებების უზრუნველყოფა;
- 2.1.3. მოსახლეობის ევაკუაციის უზრუნველყოფა;
- 2.1.4. საძიებო-სამაშველო-საავარიო-აღდგენითი სამუშაოების ღონისძიებების უზრუნველყოფა;
- 2.1.5. სატრანსპორტო უზრუნველყოფა;
- 2.1.6. სამედიცინო უზრუნველყოფა;
- 2.1.7. ხანძრებზე ხანძარსაწინააღმდეგო უზრუნველყოფა;
- 2.1.8. ენერგო მომარაგების უზრუნველყოფა;
- 2.1.9. მცენარეთა და ცხოველთა დაცვის უზრუნველყოფა;
- 2.1.10. მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფა;
- 2.1.11. საინჟინრო უზრუნველყოფა, კომუნალური მომსახურება.

2.2. საგანგებო სიტუაციებზე რეაგირება

რეაგირების ორგანო:

საგანგებო შტაბი და მისი შემადგენლობა:

- გამგებელი /თავმჯდომარე/
- გამგებლის მოადგილე /საევაკუაციო კომისიის თავმჯდომარე/
- გამგებლის მოადგილე /ლოჯისტიკის დარგში/
- სახანძრო-სამაშველო სამსახურის უფროსი
- საფინანსო სამსახურის უფროსი
- ზედამხედველობის სამსახურის უფროსი
- ეკონომიკური განვითარების და ინფრასტრუქტურის სამსახურის უფროსი
- კულტურის, ძეგლთა დაცვის, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურის უფროსი
- ადმინისტრაციის უფროსი
- შ.ს.ს. პოლიციის უფროსი
- საქართველოს წითელი ჯვრისა და არასამთავრობო სექტორის წარმომადგენელი /თუ ასეთი არის/
- სამხედრო აღრიცხვისა და გაწვევის სამსახურის უფროსი

შტაბის შემადგენლობა

1. დიმიტრი ლოლაძე - შტაბის უფროსი - გამგებელი, ტელ: 877-54-24-42
2. იოსებ ტყემალაძე - შტაბის უფროსის მოადგილე - საევაკუაციო კომისიის თავმჯდომარე - გამგებლის მოადგილე, ტელ: 877-71-38-38
3. გიორგი წვერავა - შტაბის უფროსის მოადგილე ლოჯისტიკის დარგში - გამგებლის მოადგილე, ტელ: 877-20-05-50
4. მერაბ შათირიშვილი - შტაბის წევრი - სახანძრო-სამაშველო სამსახურის უფროსი, ტელ: 877-95-52-61
5. გიორგი მანგოშვილი - შტაბის წევრი - საფინანსო სამსახურის უფროსი, ტელ: 877-955-229
6. ილია ეგეტაშვილი - შტაბის წევრი - ზედამხედველობის სამსახურის უფროსი, ტელ: 877-955-225

7. ივანე ყაველაშვილი - შტაბის წევრი, ეკონომიკისა და ინფრასტრუქტურის განვითარების სამსახურის უფროსი, ტელ: 877-455-211
8. აკაკი მჭედლიშვილი - შტაბის წევრი - კულტურის, ძეგლთა დაცვის სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურის უფროსი, ტელ: 877-955-266
9. სტანისლავ ბატიაშვილი - შტაბის წევრი, ადმინისტრაციის სამსახურის უფროსი, ტელ: 877-955-253
10. მალხაზ შუბითიძე - შტაბის წევრი - შსს პოლიციის უფროსი, ტელ: 877-561-221
11. გიორგი ბოკერია - შტაბის წევრი - სამოქალაქო განვითარების ასოციაციის უფროსი, ტელ: 851-550-244
12. მამუკა ბიძინაშვილი - შტაბის წევრი - დაცვის პოლიციის წარმომადგენელი, ტელ: 895-100-210
13. გელა ლომიძე - შტაბის წევრი - სამხედრო აღრიცხვისა და გაწვევის სამსახურის უფროსი, ტელ: 877-955-258

საგანგებო სიტუაციებზე რეაგირება

საშიშროების დროს:

1. ამ დროს ორგანიზება უნდა გაუკეთდეს შეტყობინებისა და კავშირგაბმულობის სისტემების სრულყოფას;
2. დამცავი ნაგებობების მუდმივი მზადყოფნის შენარჩუნებას;
3. ობიექტების მომსახურების, პირუტყვის, სასოფლო-სამეურნეო სურსათის, მატერიალური ფასეულობების შესაფასებლად. მიწისზედა ნაგებობების წყალმომარაგების სისტემების ჰერმეტიზაციის ან მისთვის მომზადება.
4. ობიექტების ფორმირების მუდმივი მზადყოფნა;
5. საგანგებო შტაბი თავის თავზე იღებს საგანგებო სიტუაციების თავიდან აცილების, მისი შედეგების ლიკვიდაციის, ერთიანი სისტემის მუნიციპალური რგოლების ფუნქციონირების ხელმძღვანელობას.

მდგომარეობის გაუარესების დროს ქმნის ოპერატიულ ჯგუფებს და აგზავნის უბედურების ზონაში, ასევე ამლიერებს ზედამხედველობასა და კონტროლს გარემოს, პოტენციურად საშიში ობიექტებისა და მის მიმდებარე ტერიტორიაზე. ახდენს პროგნოზირებას შექმნილი სიტუაციის შემდგომ განვითარებასა და მის მასშტაბებზე.

საგანგებო შტაბი იღებს გადაწყვეტილებებს გარემოს, მოსახლეობისა და ტერიტორიის დაცვის უზრუნველსაყოფად. ასევე ატარებს ღონისძიებებს ეკონომიკური ობიექტების ფუნქციონირების მდგომარეობისათვის, ასევე მზადყოფნაში მოყავს მუნიციპალიტეტის ძალები და საშუალებები. აზუსტებს მოქმედების გეგმებს, საჭიროების შემთხვევაში უკეთებს ორგანიზაციას მათ გადაადგილებას უბედურების რაიონში.

საგანგებო შტაბი, საგანგებო სიტუაციების საშიშროების დროს უნდა შეგროვდეს 15 წთ-ში დღისით და 30 წთ-ში ღამით. პირველ რიგში უნდა გაუკეთდეს ორგანიზება მოსახლეობის ევაკუაციას საშიში ზონიდან. ტრანსპორტი უნდა უზრუნველყოს მუნიციპალიტეტის გამგეობამ, სს „ლაგოდეხის ავტოსატრანსპორტო საწარმოსთან“ ერთად. მათი განთავსება უნდა მოხდეს უსაფრთხო ზონაში. მათი კვებითი უზრუნველყოფა უნდა დაევალოს ვეტერინარიის, მცენარეთა დაცვის, სურსათის უვნებლობის ლაგოდეხის რაიონულ სამმართველოს, ხოლო სამედიცინო ხაზით - ჯანდაცვის ლაგოდეხის განყოფილებას.

ქიმიურად საშიშ ობიექტებზე ხდება სპეციალური ფორმირების მზადყოფნაში მოყვანა. დაზიანების ზონაში ქიმიურ ვითარებაზე ყოველდღიური მონაცემების შეგროვება და ამ მონაცემების საშუალებით ქიმიური ვითარების შეფასება. ქიმიურად საშიშ ობიექტებზე ზედამხედველობა, მოწამლული და ძლიერ მოქმედი შხამიანი ნივთიერებებით დასნოვანების ხასიათის და მასშტაბების განსაზღვრა.

ამ დროს ხდება საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის სამსახურის ძალების მიერ საშიშ ზონაში რეგულირების და მოძრავი პოსტების, დაყენება, განსახლებული მოსახლეობისათვის შენობების მომზადება.

ხანძარსაწინააღმდეგო ძალების მზადყოფნაში მოყვანა, საშიში ზონებიდან პოტენციურად საშიში ტვირთების გამოტანა და უსაფრთხო ზონაში განთავსება.

საგანგებო სიტუაციების, დიდი საწარმო ავარიების, კატასტროფების და სტიქიური უბედურებების წარმოქმნის დროს გასატარებელი ღონისძიებები, ანუ საგანგებო რეჟიმი გამოიხატება შემდეგში:

- უნდა მოხდეს საგანგებო სიტუაციების დროს ხელმძღვანელი შემადგენლობის და მოსახლეობის შეტყობინება.
- საგანგებო სიტუაციების ზონაში დაზვერვის ორგანიზება და ვითარების პროგნოზირება.
- საავარიო-სამაშველო და სხვა გადაუდებელი ხამუშაობისათვის მოსახლეობის ძალების და საშუალებების მზადყოფნაში მოყვანა.
- მოსახლეობის ევაკუაცია.
- მეცხოველეობის, სოფლის მეურნეობის პროდუქტების დაცვა.
- მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე დისლოცირებული ძალოვან სტრუქტურებთან ურთიერთქმედება.
- მოეწყოს მოსახლეობისათვის ევაკუაციის პუნქტი, სამედიცინო პუნქტი, კვების პუნქტი და ა.შ.

წარმოქმნის დროს (საგანგებო რეჟიმი)

მართვის ორგანოების, საგანგებო სიტუაციებისა და სამოქალაქო თავდაცვის ძალების, წარმოება-დაწესებულებების, მუშა-მოსამსახურეების შეტყობინების წესი, საგანგებო სიტუაციების დროს მოიყვანება დაუყოვნებლივ ყველა შეტყობინების ტექნიკური საშუალება მზადყოფნაში.

ტექნიკურ საშუალებებში შედის: ხმამაღლა მოლაპარაკე საშუალებებით აღჭურვილი ავტომატები, სირენები, მეგაფონები, ადგილობრივი ტელევიზია, აგრეთვე კავშირგაბმულობის განყოფილებიდან ტელეფონების საშუალებით.

საგანგებო სიტუაციების წარმოქმნის დროს შტაბი უნდა შეიკრიბოს დღისით დაუყოვნებლივ და გაგზავნოს ოპერატიული ჯგუფები ავარიის, კატასტროფის, უბედურების რაიონში.

მოსახლეობის განსახლება უსაფრთხოების ზონაში საგანგებო სიტუაციის შემთხვევაში დაიწყება დაუყოვნებლივ, ამასთანავე მოსახლეობამ უნდა იცოდეს თუ სად მდებარეობს უსაფრთხო ზონები.

მიწისძვრის შემთხვევაში დაზიანების ზონა მოიცავს მუნიციპალიტეტის მთელ ტერიტორიას. მის დასაზვერად საჭიროა 5 საათი. არსებული სიტუაციიდან გამომდინარე, მიწისძვრის შემდეგ მოიზიდება, როგორც მუნიციპალიტეტის სახანძრო სამაშველო სამსახური, ასევე მეზობელი მუნიციპალიტეტების სახანძრო სამაშველო სამსახურები, ასევე მუნიციპალიტეტის და მეზობელი მუნიციპალიტეტების რეზერვისტთა სამაშველო ფორმირებები. კახეთში სახელმწიფო რწმუნებულის, გუბერნატორის ადმინისტრაციის საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახური.

დაზარალებული მოსახლეობა განთავსდება ისეთ ადგილებში სადაც არ იქნება საშიშროება. ასეთი ადგილებია: სტადიონები, ქ.ლაგოდეხში სკოლებთან არსებული სპორტული მოედნები. საგანგებო სიტუაციამ შეიძლება მოიცვას 30000 ადამიანი. ევაკუაციისათვის ტრანსპორტი მოიზიდება მუნიციპალიტეტის გამგეობის და სს „ლაგოდეხის ავტოსატრანსპორტო საწარმოს“ მიერ.

2.3. ღონისძიების გამტარებელი პასუხისმგებელი და დამხმარე სამსახურები

2.3.1. საგანგებო მართვის უზრუნველყოფა

- ძირითადი შემსრულებელი
შტაბის უფროსი - გამგებელი
- დამხმარე შემსრულებელი ორგანიზაცია
ადმინისტრაციის უფროსი

- საგანგებო სიტუაციის საფრთხის არსებობის ან მისი განვითარების შემთხვევაში, საგანგებო სიტუაციასთან დაკავშირებული ამოცანების გადასაწყვეტად, საგანგებო შტაბის უფროსი - გამგებელი, იწყებს საგანგებო მართვის ღონისძიებების განხორციელებას, კერძოდ აცხადებს განგაშს, ადმინისტრაციის უფროსის მეშვეობით ატყობიებს შექმნილი მდგომარეობის თაობაზე დარგობრივ სამსახურებისა და შესაბამისი უწყებების პასუხისმგებელ პირებს, თავისთავად შესაბამისად შტაბის წევრებს, აცნობს მუნიციპალიტეტში შექმნილ სიტუაციას, აძლევს დავალებებს, ადგენს სამოქმედო გეგმას.

2.3.2. კავშირგაბმულობის შეტყობინების ღონისძიებების უზრუნველყოფა

- ძირითადი შემსრულებელი

ადმინისტრაციის უფროსი /თანამშრომლებით/

- დამხმარე შემსრულებელი ორგანიზაციები:

ს/ს „სილქნეტი“, მობილური ოპერატორები, ადგილობრივი ტელევიზია, რადიო.

უზრუნველყოფს ადგილობრივ დონეზე საგანგებო სიყუაცეებში კავშირგაბმულობისა და შეტყობინების ძალების, საშუალებების მოზიდვასა და ხელმძღვანელობას, საერთო ლოკალური ქსელის შექმნას /შესაძლებლობის ფარგლებში/ ზედამხედველობასა და კონტროლს კავშირგაბმულობისა და შეტყობინების სისტემაზე, მოსახლეობის დროული შეტყობინების სისტემის შექმნის, საგანგებო სიტუაციების ზონებში საავარიო-სამაშველო, სახანძრო-სამაშველო, სამიებო-სამაშველო და საავარიო-აღდგენითი სამუშაოების ძალების კავშირით უზრუნველყოფას, ელექტრონული საკომუნიკაციო ქსელებზე საავარიო-აღდგენითი სამუშაოების შესრულების ორგანიზებასა და კოორდინაციას /იხ.დანართი 17/ სისტემის გამართულად მუშაობაზე პასუხისმგებლობას.

2.3.3. მოსახლეობის ევაკუაციის უზრუნველყოფა

- ძირითადი შემსრულებელი

გამგებლის მოადგილე - საევაკუაციო კომისიის თავმჯდომარე

ეკონომიკური განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამსახური

- დამხმარე შემსრულებელი ორგანიზაცია

სამხედრო აღრიცხვისა და გაწვევის სამსახური

სუბსიდიების სააგენტოს ლაგოდების ფილიალი

შ.პ.ს. სასწრაფო დახმარება

შ.პ.ს. საავადმყოფო

ს/ს ლაგოდები /ატკ/ - სატრანსპორტო ორგანიზაცია

საპატრულო პოლიცია

ლტოლვილთა და განსახლების სპეციალისტი

სასაზღვრო პოლიცია

მოსახლეობის ევაკუაციას ადგილობრივ დონეზე ახორციელებს შტაბი და შესაბამისი ტერიტორიული ორგანოს რწმუნებული საინიციატივო ჯგუფების მეშვეობით /რომელიც შექმნილია ადგილებზე - /იხ.დანართი №2/, ადგილზე ხელმძღვანელობს სავლე საევაკუაციო შტაბის თავმჯდომარე /შტაბის შემადგენლობა - იხ.დანართი 3/, კოორდინაციას უწევს სასწრაფო სამედიცინო დახმარებას /იხ.დანართი №4/ მათ განვითარებას სტაციონალურად ც/რ საავადმყოფოში /იხ.დანართი №5/ ტრანსპორტირების ორგანიზაციას /იხ.დანართი №6/ და ადგილზე წესრიგის დაცვას, რათა თავიდან აცილებული იქნეს ქაოტური უწესრიგობისა და მარადიურობის ფაქტები /იხ.დანართი №7/.

2.3.4. სამიებო-სამაშველო საავარიო აღდგენითი სამუშაოების ღონისძიებები:

- ძირითადი შემსრულებელი:

სახანძრო-სამაშველო სამსახური

- დამხმარე შემსრულებელი ორგანიზაცია

ეკონომიკური განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამსახური

სამხედრო აღრიცხვისა და გაწვევის სამსახური
შ.პ.ს. „კეთილმოწყობის“ სამსახური
შ.პ.ს. „ლაგოდებისა ვტოგზა“

საგანგებო სიტუაციასთან დაკავშირებული ამოცანების გადასაწყვეტად სახანძრო-სამაშველო სამსახური გაწერილი გეგმებით ახორციელებს სამაშველო სამუშაოებს, რაც გულისხმობს ადგილობრივ დონეზე საავარიო სამაშველო და საავარიო-აღდგენითი ფორმირებების ჩაბმას /იხ. დანართი №8/.

ეკონომიკური განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამსახური ახდენს ზარალის დადგენას, აღწერას, თუ რა ზიანი მოუტანა კერძო, იურიდიულ პირებს და სახელმწიფო ობიექტებს სტიქიამ.

სამხედრო აღრიცხვისა და გაწვევის სამსახური მობილიზაციას უკეთებს რეზერვისტებს, მათგან ქმნის სამაშველო ჯგუფებს, ადგილობრივი ტერიტორიული ორგანოს ხელმძღვანელთან და საინიციატივო ჯგუფთან ერთად.

შ.პ.ს. „კეთილმოწყობის“ სამსახური თავისი ფიზიკური და მატერიალურ-ტექნიკური საშუალებებით, უზრუნველყოფს მოსახლეობაში ფატალური /სიკვდილიანობა/ შედეგების დადგომის შემთხვევაში სპეციალურად გამოყოფილ ადგილზე დამარხვას, რათა თავიდან იქნეს აცილებული ეპიდემიის გავრცელების საშიშროება /ქოლერას, შავი ჭირი და სხვა/, აგრეთვე პირუტყვისა და ფრინველთა დასამარხ ორმოებს, ტრანშეებს.

შ.პ.ს. „ლაგოდებისა ვტოგზა“ საკუთარი და მუნიციპალიტეტში არსებული ტექნიკის საშუალებით უზრუნველყოფს საავარიო-გაწმენდით-სამაშველო სამუშაოების შესრულებას.

2.3.5. სატრანსპორტო უზრუნველყოფა

- ძირითადი შემსრულებელი:

ზედამხედველობის სამსახური

ეკონომიკური განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამსახური

- დამხმარე შემსრულებელი ორგანიზაცია

ს/ს „ლაგოდები“ /ატკ/

ს/ს „ლაგოდები“ /ატკ/ უზრუნველყოფს საკუთარი და მუნიციპალიტეტის

ტერიტორიაზე არსებული სატრანსპორტო საშუალებების მობილიზებასა და

გადანაწილებას მოთხოვნილებიდან გამომდინარე /იხ. დანართი №6/.

სპეციალურად შტაბის მიერ შემუშავებული გეგმისა და მარშრუტების, სქემების

შესაბამისად.

2.3.6. სამედიცინო უზრუნველყოფა

- ძირითადი შემსრულებელი:

გამგებლის მოადგილე - ევაკუაციის თავმჯდომარე

ეკონომიკური განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამსახური

- დამხმარე შემსრულებელი ორგანიზაცია

ა.ი.პ. ლაგოდების მუნიციპალიტეტის საზოგადოებრივი ჯანდაცვის სამსახური

შ.პ.ს. „ლაგოდების ჯანდაცვა“

შ.პ.ს. „ლაგოდების სასწრაფო დახმარება“

შ.პ.ს. „ლაგოდები“ /ატკ/

საგანგებო სიტუაციასთან დაკავშირებული საკუთარი და მობილიზებული /ტექნიკით/ ახორციელებს სტიქიური საშიში ზონებიდან მოსახლეობის ევაკუაციას და მათ განთავსებას ჯანდაცვის ობიექტებში /იხ. დანართი №4, №5/, ქმნის მედიკამენტების საჭირო მარაგს.

საჭიროების შემთხვევაში გამგებლის მოადგილე - ევაკუაციის კომისიის თავმჯდომარეს შტაბის უფროსი ავალებს საველე შტაბის მოწყობას.

2.3.7. ხანძარსაწინააღმდეგო უზრუნველყოფა

- ძირითადი შემსრულებელი:

სახანძრო სამაშველო სამსახურის უფროსი

- დამხმარე შემსრულებელი ორგანიზაცია

შ.პ.ს. „ლაგოდებავტოგზა“

შ.პ.ს. „კეთილმოწყობა“

სახანძრო სამაშველო სამსახური ხანძრების ლიკვიდაციის განსახორციელებლად მოქმედებს სპეციალურად გაწერილი გეგმის მიხედვით /იხ.დანართი №8/.

2.3.8. ენერგო მომარაგების უზრუნველყოფა

- ძირითადი შემსრულებელი

ეკონომიკური განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამსახური

- დამხმარე შემსრულებელი ორგანიზაცია

ს/ს „კახეთენერგოს“ -ლაგოდების ფილიალი

ს/ს „ლაგოდებიგაზი“

ლაგოდების სატყეო მეურნეობა

ავტოგასამართი სადგური

საგანგებო სიტუაციების პირობებში აღნიშნული სამსახურები თავიანთი ძალებით უზრუნველყოფს მოსახლეობის ელ.ენერჯისა და გაზით უწყვეტ მომარაგებას, მოსახლეობის დაცვას.

სატყეო მეურნეობა - რეინჯერებთან, მოხალისე ჯგუფებთან ერთად უზრუნველყოფს მოსახლეობის მომარაგებას შემით /იხ.დანართი №12/.

ავტოგასამართი სადგური იღებს ვალდებულებას აღარ ივაჭროს საცალო ვაჭრობით, შექმნას მარაგი და მოამარაგოს საჭიროების შემთხვევაში შესაბამისი სავაჭრო სამსახურები /იხ.დანართი - მემორანდუმი 1/.

2.3.9. მცენარეთა და ცხოველთა დაცვის უზრუნველყოფა

- ძირითადი შემსრულებელი

განათლების, კულტურის, ახალგაზრდულ საქმეთა და სპორტის სამსახური

- დამხმარე შემსრულებელი ორგანიზაცია

ა.ი.პ ლაგოდების მუნიციპალიტეტის ჯანდაცვის სამსახური

სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულებათა სურსათის უვნებლობის, ვეტერინარიისა და მცენარეთა დაცვის ეროვნული სამსახურის ლაგოდების რაიონული სამმართველო

საზოგადოებრივი ჯანდაცვის სამსახური უწევს ზედამხედველობას სანიტარულ-ჰიგიენური კუთხით და საკვები პროდუქტების კომუნალური, სამრეწველო და საყოფაცხოვრებო ობიექტებზე ეპიდსაწინააღმდეგო, რადიოლოგიური კუთხით მოსახლეობის ინფექციური, გადამდები დაავადებების კუთხით გამოვლენა და იზოლირება, მუდმივ კონტაქტში რაიონული შტაბის უფროსთან.

სურსათის უვნებლობის, ვეტერინარიისა და მცენარეთა დაცვის ეროვნული სამსახურის ლაგოდების რაიონული სამმართველო პასუხისმგებელია დაზიანებულ ცხოველთა პროფილაქტიკაზე და სამაშველო სამუშაოების ჩატარებაზე, დაზიანებულ ცხოველთა დაკვლაზე და მათი ხორცის ვეტერინალურ სანიტარულ ექსპერტიზაზე, განსაკუთრებით საშიში დაავადებების აღმოჩენის შემთხვევაში /შავი ჭირი, ქოლერა, ყვავილი, ჯილეხი და სხვა/ კარანტინების მოწყობა, ეპიდემიური კერების ლიკვიდაციისათვის ღონისძიებების ჩატარება, დეზინფექციის გატარება.

შესაძლებელია 15 სპეციალისტის მობილიზება.

2.3.10. მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფა

- ძირითადი შემსრულებელი

გამგებლის მოადგილე - ლოჯისტიკის საკითხები

- დამხმარე შემსრულებელი ორგანიზაცია

საფინანსო სამსახურის უფროსი

ეკონომიკური განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამსახურის უფროსი

ბიზნესმენები: ა) ავტოგასამართი სადგურის /იხ.მემორანდუმი №1/

ბ) სარსათით უზრუნველყოფა /იხ.მემორანდუმი №2/

გ) პურიით მომარაგების უზრუნველყოფა /იხ.მემორანდუმი №3/

ტანსაცმლით მომარაგების უზრუნველყოფა /წითელი ჯვარი, არასამთავრობო ორგანიზაციები/.

2.3.11. საინჟინრო უზრუნველყოფა, კომუნალური მომსახურება

- ძირითადი შემსრულებელი

ეკონომიკური განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამსახური

- დამხმარე შემსრულებელი ორგანიზაცია

ზედამხედველობის სამსახური

შ.პ.ს. საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანიის ლაგოდეხის ფილიალი /იხ.დანართი №9/

შ.პ.ს. „კეთილმოწყობა“ /იხ.დანართი №10/

შ.პ.ს. „ლაგოდეხავტოგზა“ /იხ.დანართი №11/

შ.პ.ს. საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანიის ლაგოდეხის ფილიალი უზრუნველყოფს სათავე-ნაგებობების დაცვას, წყლის ხარისხის დაცულობას, წყლის შეუფერხებლად მიწოდებას მოსახლეობაზე /იხ.დანართი №9/.

შ.პ.ს. „კეთილმოწყობა“ უზრუნველყოფს ნარჩენებიდან სტიქიური ადგილების დასუფთავებას /იხ.დანართი №10/, მოსახლეობის , პირუტყვის სპეციალურად გამოყოფილ ადგილებზე დამარხვას.

სამშენებლო ორგანიზაციები უზრუნველყოფენ გასუფთავება-გაწმენდითი და სარეაბილიტაციო სამუშაოებს /იხ.დანართი №11, №12/.

2.3.12. საგანგებო სიტუაციებზე რეაგირება საველე პირობებში

- ძირითადი შემსრულებელი:

მოადგილე - ევაკუაციის შტაბის თავმჯდომარე

- დამხმარე შემსრულებელი ორგანიზაცია

საველე ოპერაციების ცენტრი

შ.პ.ს „ჯანდაცვა“

შ.პ.ს. „სასწრაფო დახმარება“

საპატრულო პოლიცია

საველე ევაკუაციის შტაბი /იხ.დანართი №3/

მოადგილე - შტაბის თავმჯდომარე - იოსებ ტყემალაძე

წევრები - შ.პ.ს. „ჯანდაცვის“ დირექტორი - მიხეილ ბოჟაძე

შ.პ.ს. „სასწრაფო დახმარების“ დირექტორი - მარინა ბოსტოდანაშვილი

სამაშველო განყოფილების უფროსი - გიორგი ჩახვაშვილი

პოლიციის უფროსის მოადგილე - დავით გიგაური

ს.ს. „ლაგოდეხი /ატკ/ - ოთარი კაპანაძე


საველე ოპერაციების ცენტრი - გიორგი კუდაშვილი - უზრუნველყოფს საინფორმაციო, კომპიუტერული და მობილურ უზრუნველყოფას საგანგებო რეაგირების შტაბთან.

„ვამტკიცებ“
ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის
საგანგებო შტაბის უფროსი,
მუნიციპალიტეტის გამგებელი:

დიმიტრი ლოლაძე

„-----“----- 2010 წ.

ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის საგანგებო შტაბის შეტყობინების სქემა



„ვამტკიცებ“

ლაგოდების მუნიციპალიტეტის საგანგებო
სიტუაციების შტაბის უფროსი, ლაგოდების
მუნიციპალიტეტის გამგებელი:

დიმიტრი ლოლაძე

„-----“----- 2010 წ.

სასოფლო თემებში საინიციატივო ჯგუფების სიობრივი მონაცემები

ქ.ლაგოდები

1. ლევან კუტიბაშვილი
2. თორნიკე მაჭარაშვილი
3. ირაკლი ბოკერია
4. თემურ ელიზბარაშვილი
5. დავით გოგოლაძე
6. გივი კობაძე
7. გია კურტანიძე
8. გია ნანობაშვილი
9. დავით გოგოლაძე
10. ზურაბ ხიზანიშვილი
11. ილია ხელაშვილი
12. ნიკოლოზ ნოზაძე
13. სიმონა პაპიაშვილი
14. გიროგი კველიშვილი
15. გელა ყორღანაშვილი

სოფელი ჭიაური

1. ქიმაძე ტარიელი /თავმჯდომარე/
2. კუსიანი ქეთევანი
3. მესხიშვილი ჯუმბერი
4. შუბითიძე კახა
5. აბაშიძე ჯემალი
6. ხარაიშვილი იური
7. ბახტურიძე ნოდარი
8. მაისურაძე ციური
9. წერიძე მარიამი
10. გვარამაძე ვალერი
11. დუმბაძე მურმანი
12. შუბითიძე ჭიჭიკო
13. კილურაძე აკაკი
14. ჩხიტუნიძე ანდრო
15. აბაშიძე ვალერი

სოფელი აფენი

1. ყაველაშვილი თინა
2. ნადირაძე თემური
3. მოდებაძე თემური
4. ყაველაშვილი ელდარი
5. კაპანაძე სპარტაკი
6. რეხვიაშვილი ოთარი
7. გოგსაძე რეზო

8. კუბლაშვილი გია
9. მუმლაძე შოთა
10. კობახიძე თამაზი
11. გერაძე ელდარი
12. გელაშვილი მალხაზი
13. ნოზაძე მამუკა
14. ჩაბრაძე გოჩა
15. შველიძე ხვიჩა
16. ცერცვაძე ნანა
17. მაჭარაშვილი დათო
18. გობეჯიშვილი გარი

სოფელი კაბალი

1. ნიაზოვი ჯემალი /თავმჯდომარე/
2. მამედოვი გუსეინ
3. ალიევი მირზა
4. ნამაზოვი დურსუნ
5. სარდაროვი ადალათ
6. შაჰისმაილ ისლამოვი
7. ამიათ ალიევი
8. ელსად ფოლიევი
9. სარდარ ფაშაევი
10. აბულფატ ფაშაევი
11. გასანალ ალიევი
12. გნნათ ანნაგოვი
13. ალატდინ რუსტამოვი
14. სამად ნაბიევი
15. ზაჰიდ ველიევი

სოფ. კართუბანი

1. რევაზ პერანიძე /თავმჯდომარე/
2. ოთარ კაპანაძე
3. ლელა კავთელაძე
4. ნუგზარ ცარციძე
5. ლია ყარალაშვილი
6. ბესარიონ გრიგალაშვილი
7. გივი წიქარიშვილი
8. ქართლოს ლომიძე
9. ივანე მაღრაძე
10. რობერტი ხაჩიძე
11. ლია ძმანაშვილი
12. კობა გელაშვილი
13. გიორგი შუბიბიძე
14. თემურ გელაშვილი
15. მანანა მჭედლიძე

სოფ. მაწიმი

1. სახვაძე გიორგი
2. ალავერდაშვილი ალექსანდრე
3. ჭიპაშვილი ალექსანდრე
4. ხითაროვი ვაჟა
5. ლაშხი თამაზი
6. წიქარიშვილი კახაბერი

7. ჯიყაშვილი ოთარი
8. ლულუნიშვილი კახაბერი
9. ტკაჩენკო ვალერი
10. ცერცვაძე ვალერიანი /თავმჯდომარე/
11. ალავერდაშვილი გიორგი
12. ნატროშვილი იოსები
13. ლობჯანიძე შოთა
14. გაგნიძე ალექსანდრე
15. ლობჯანიძე პაპუნა

სოფ. შრომა

1. ჯემალ მანგოშვილი /თავმჯდომარე/
2. შ.შუბითიძე
3. კ.კაპანაძე
4. ვ.შიროტაძე
5. უ. მაღლაფერიძე
6. ბ.ცუცქერიძე
7. თ.სიმონიშვილი
8. ა.რეხვიაშვილი
9. დ.ციციშვილი
10. ა.კავაშვილი
11. გ.მაჩაიძე
12. ნ.გრიგალაშვილი
13. ა.კოჭლამაზაშვილი
14. გ.აფაქიძე
15. ლ.ზავრაშვილი

სოფ. ვარდისუბანი

1. ქველაძე ზაზა
2. ფოფხაძე ბექანი
3. შუბითიძე თენგიზი
4. ფცქიალაძე აკაკი
5. ბრეგვაძე ვლადიმერი
6. კაპანაძე თემური
7. ყოჩიაშვილი გიორგი
8. სივსივაძე თამილა
9. კაკაშვილი გივი
10. ქერელაშვილი ვაგული
11. გოგოლაძე მამუკა
12. ბებრიშვილი ნოდარი
13. ტურაშვილი გურამი
14. ნიკუაშვილი ოთარი

სოფ. არემფერანი

1. ტარიელ თედეევი /თავმჯდომარე/
2. ნათელა ქოქოშვილი
3. ნოდარ ბერიძე
4. ედუარდ ჯიოევი
